სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 ნოემბერი, 2024 წ.

ბრძანება N01-02/ 197

„აგროსტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს სტუდენტების და პროფესიული სტუდენტის შესარჩევი კონკურსის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" (შემდგომში - „ცენტრი") და ბსუ-ს შორის 2024 წლის 24 ოქტომბრის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის თანახმად 2024 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული *„აგროსტიპენდიის"* ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N 21/11/2024 *MES 8 24 0001501460) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,აგროსტიპენდიის" მიმღები ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის **„აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2 სტუდენტის და პროფესიული პროგრამის „მებაღეობა" 1 პროფესიული სტუდენტის** შერჩევა განხორციელდეს 2024 წლის 20 ნოემბერს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან" გაფორმებული **„აგროსტიპენდიის"** ნომინაციების ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების" **შემდეგი პირობების შესაბამისად:**

1.1. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შემთხვევაში **კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებია:**

ა) კანდიდატს სწავლის პროცესში დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ **60 კრედიტი** და მისი საშუალო სარეიტინგო ქულა არ უნდა იყოს 81-ზე ნაკლები; უპირატესობა მიანიჭოს უფრო მაღალი ქულების მქონე სტუდენტს;

ბ) 2024-25 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შესაბამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;

გ) კანდიდატმა უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი;

დ) უპირატესობა მიენიჭოს იმ კანდიდატს, რომლებსაც წარდგენილი აქვთ სამეცნიერო ნაშრომი საუნივერსიტეტო კონფერენციაზე და დაიმსახურეს მაღალი შეფასება.

1.2. ბსუ-ს **პროფესიული პროგრამის „მებაღეობა" პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმებია:**

ა) პროექტის (პრეზენტაციის) შემუშავება/წარდგენა პროფესიული პროგრამის „მებაღეობა“ თემატიკის მიხედვით;
ბ) რეკომენდაცია პროფესიული მასწავლებლებისგან;
გ) რეკომენდაცია დამსაქმებლისგან/პრაქტიკული სწავლების ინსტრუქტორისგან;
დ) განმავითარებელი შეფასება;
ე) დასწრება.

2. შერჩეულ სტუდენტებს ,,აგროსტიპენდია“ (საბაკალავრო პროგრამის თითო სტუდენტზე **1000 ლარის** ოდენობით, ხოლო პროფესიულ სტუდენტზე - **500 ლარის** ოდენობით) **დაენიშნოთ** <u>**არაუგვიანეს 2024 წლის 28 ნოემბრისა.**</u>
3. წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის ბსუ-ს ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა საბაკალავრო სტუდენტების შემთხვევაში, ხოლო ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში უზრუნველყოს:
   ა) ,,აგროსტიპენდიის“ შესარჩევი პროცესის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო კანდიდატებისათვის (სტუდენტებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის), მათ მიერ ამ ბრძანებაში აღნიშნული საკონკურსო პირობების შესაბამისად ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით;
   ბ) ,,აგროსტიპენდიის“ მიმღები კანდიდატების შერჩევა (შეიქმნას შესარჩევი კომისია ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით/ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მიერ) და შერჩევის შედეგების შესახებ **სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა - არაუგვიანეს 2024 წლის 27 ნოემბრისა;**
   გ) აგროსტიპენდიის მიმღები კანდიდატების შერჩევის საფუძველზე გამოცემული სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების, ასევე ცენტრის მიერ ჩამორიცხული თანხის შესაბამისი სტუდენტებისათვის აგროსტიპენდიის ჩარიცხვის თაობაზე ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარდგენა.
4. **ბრძანება განთავსდეს** ბსუ-ს ტენოლოგიური <u>ფაკულტეტის და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის</u> **საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე** (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები''/,,ცენტრის სიახლეები).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მ. ხალვაში**